საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/988

ქ. ბათუმი 10 ----- **ნოემბერი, 2022 წ.**

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის 66[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის N01-08/976 ბრძანების, ბსუ-სა და ნინო მიქელაძეს შორის 2021 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებული N20-04/48 ხელშეკრულების, ბსუ-სა და მინდია დიდმანიძეს შორის 2021 წლის 07 ოქტომბერს გაფორმებული N20-04/53 ხელშეკრულების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2022 წლის 19 ოქტომბრის MES 7 22 0001323207 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ იმ პროფესიულ სტუდენტებს (დანართი N1), რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
3. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტსა და სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეში.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის N 01-08/988 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ის პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეუწყდეს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

N	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული პროგრამა	ჩარიცხვის ბრძანება ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების ნომერი, თარიღი	მისამართი
1	ნინო მიქელაძე		„საფინანსო სერვისები“	N01-08/573, 08.10.2021, ხელშ. N 20-04/48, 06.10.2021	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №67
2	მინდია დიდმანიძე		„საფინანსო სერვისები“	N01-08/573, 08.10.2021, ხელშ. N 20-04/53, 07.10. 2021	ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის II ჩიხი, №47